

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსური მათემატიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს და მისი განხორციელების ოპტიმალური ვადა არის 4 წელი. 240 კრედიტიდან 165 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო, 15 კრედიტი - არჩევით, ხოლო 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობის კომპონენტებს.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული განათლება მათემატიკის კლასიკურ და გამოყენებით დარგებში; • გამოუმუშაოს სტუდენტს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საფინანსო სფეროში წარმოქმნილი პრაქტიკული ამოცანების გაგების, ანალიზის, შეფასებისა და გადაწყვეტისათვის; • უზრუნველყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომით ბაზარზე დამკვიდრებას ან/და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. • უზრუნველყოს მრავალმხრივი განათლებისა და ინტერესების მქონე სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილება პროგრამის ფარგლებში არსებული არჩევითი კურსების ან/და დამატებითი სპეციალობის საშუალებით.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>1.1. ფინანსური მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებათა თეორიებისა და მეთოდების ცოდნა:</p> <p>1.1.1. წრფივი ალგებრის, დიფერენციალური აღრიცხვისა და თანამედროვე გეომეტრიის მიღწევების გამოყენებით ფინანსური მათემატიკის ობიექტების ძირითადი კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა;</p> <p>1.1.2. დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის საშუალებით ალბათურ-სტატისტიკური და ფინანსური მათემატიკის მოდელების აგებისა და ძირითადი კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა;</p> <p>1.1.3. მათემატიკური ლოგიკისა და ძირითადი ალგებრული სტრუქტურების თეორიული საფუძვლებისა და კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა და მათი ფინანსურ მათემატიკაში გამოყენების უნარი.</p> <p>1.1.4. ფუნქციათა მიახლოების, წრფივი ალგებრის, რიცხვითი გაწარმოების და ინტეგრების, არაწრფივ განტოლებათა ამოხსნის ზოგიერთი რიცხვითი მეთოდის ფართო ცოდნა და მათი ფინანსურ მათემატიკაში გამოყენების უნარი.</p> <p>1.2. ფინანსური მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე მიდგომებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაცია;</p> <p>1.3. სხვადასხვა ტიპის ფინანსური მათემატიკის ამოცანების გადაწყვეტისა და პრეზენტაციისათვის საჭირო პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების ცოდნა;</p> <p>1.4. მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, ფინანსური და სადაზღვეო მათემატიკის საფუძვლების გაღრმავებული ცოდნა.</p>

<p style="text-align: center;">შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება. დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%; გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p>
<p style="text-align: center;">საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე ტელეფონი: (+99593) 36 96 09; (+995222) 7 94 15 ელ-ფოსტა: vbaladze@gmail.com</p> <p>ასოცირებული პროფესორი ანზორ ბერიძე ტელეფონი: (+99593) 31 37 77 ელ-ფოსტა: anzorberidze@yahoo.com, aberidze@bsu.edu.ge</p>